№ 5[illegible] — 1916
კვირა, ქრისტე. 11

წლიურად 5 მ., ნახევარი წლით 3 მ. გაწერა შეიძლება ფოსტით: Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба“ Іос. Имедашвили. პირისპირ: „სორაპნი-“ს სტამბაში

წლ. მეოთხე გამოცემისა | ფასი 15 კ.

მიიღება ხელის მოწერა
დაწვრილებით იხ. მე-16-ე გვ.

მამა ახლდი მსახიობნი
ვასო და ტასო აბაშიძენი

შინაარსი

1, **ივ. გომართელი** — თეატრი 2
2, **მარიჯან** — სკრიპკა 4
3, **ა. ჭელიძე** — ქუჩაზე . . . . „
4, **ანნა ვენეცკისა** — ერთად ერთი შვილი . 5
5, **პაზირა** — აშუღების ადათი და ჩვეულება „
6, **ჩაქუჩი** — წერილები მეგობართან ქართველ მუსიკოსთა შესახებ 7
7, **ვასილ ქირვალიძე** — ქართულ თეატრის შესახებ 7
8, **გ. ჯ. ბაური** — სახალხო თეატრის ისტორია ნაძალადევის თეატრი . . . . „
9, **გ. ტაბიძე** — ჩემო მადონნავ!" 8
10, **ს. ვლე აბულაძე** — ხატრთვის . . . . . „
11, **ფ. რუშაველი** — მარტოობა 9
12, **გრ. საქარიქეიდელი** — მოსე მწერალი პიესა გვ. ნინოშვილის მოთხრობიდან (გაგრძელება) „
13, **მირ. ხარველი** — დედა, (გაგრძელება) . 11
14, **სახიობა, წვრილი ამბები** . . . . „

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის

(ჟურნალი ორი პრემიით 8 მან. დაწვრილებით იხილეთ განცხადება)

თეატრი

არ განგიცდია, მკითხველო, ერთგვარი უსიამოვნო გრძნობა:

ზაფხულის გახურებულ დღეში ცა ნელა-ნელა მოიბურება ტყვიისფერი მძიმე ღრუბლებით, მზე დაიმალება, სიო არ იძვრის, ჰაერში სიცხეა გამდგარი. ასე გგონიათ, თითქოს ბორკილებით იყოთ შებოჭილი და დედამიწაზე მიმაგრებული მთელი სიმძიმე ამ ღრუბლებისა კი თქვენ გაწვებოდესთ; სუნთქვა გიძნელდებათ, გინდათ სადმე გაიქცეთ, მთლათ მოსწყდეთ დედამიწას, ასცილდეთ ღრუბლებს და თავისუფლად გაინავარდოთ ცის სივრცეში. მწარე სინამდვილე-კი ჩაგჩიჩინებთ, რომ თქვენც არარანი ხართ, მონა მიწისა, მიწაზე დაღოღიალობთ და მიწამ უნდა შეგჭამოსთ—ვერც ცოცხალი მოსცილდებით მას, ვერც მკვდარი.

ამგვარი უმწეო მდგომარეობიდან გამოსასვლელათ ბუნებამ ადამიანს საუცხოო კარი დაუტოვა; ეს კარი რომ არა, მართლაც ჩვენი არსებობა ხშირათ აუტანელი იქნებოდა და ცხოვრება—საშინელება.

ეს კარია—ოცნება.

ყოველივე ამაოა და წარმავალი—ახალგაზრდობა, სილამაზე, სახელი, სიმდიდრე ყოველივე კვდება, ჭქრება, ისპობა, იკარგება, მხოლოდ ოცნებაა უკვდავი, უჭკნობი, მარად მშვენიერი.

ოცნება ცხოვრების სამკაულია. ოცნება რომ არ იყოს, ცხოვრება უმეტეს შემთხვევაში საშინელი სატანჯველი იქნებოდა. ოცნება ადამიანს ამაღლებს, სულს უტკბობს, გრძნობას უფაქიზებს.

ოცნებამ მისცა ადამიანს სარწმუნოება, ხელოვნება: ოცნებამ ასწავლა მას სიმღერა, ცეკვა, სიყვარული.

ოცნება შემოჭრილია ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, ვერ ნახავთ ადამიანს, რომ უოცნებოთ ცხოვრებდეს.

ჭირისუფალი, რომელიც თავის მკვდარს დასტირის, ოცნებობს: მას სჯერა, ან უნდა დაიჯეროს რომ სიკვდილს იქით რაღაც არსებობს.

ხელოვანი, რომელიც ჰქმნის, მუდამ ოცნებობს, მსახიობი, რომელიც თამაშობს სცენაზე, ოცნებობს, მომღერალი, მემუსიკე, მოცეკვავე, დედა, რომელიც შვილს უალერსებს, ვაჟი, რომელიც თავის სატრფოს წერილს სწერს,—სულ ყველა ოცნებობენ.

მეკურტნე მუშა, რომელიც დღიურ მონაგარს ითვლის და ოფლს იწმენდს შუბლზე, განა ის კი არ ოცნებობს?

ჩასუქებული ვაჭარი, რომელიც თავის სიმდიდრეს ითვლის, განა არ ოცნებობს?

ოცნების დიდი ტაძარი—თეატრია.

ხელოვნების ტაძარიო, გამისწორებს მკითხველი.

— ხელოვნებაში იმდენათ არის ჩაქსოვილი ოცნება, რომ გამოყოფა შეუძლებელია. თვით ის სინამდვილე, რომელიც ხელოვნებაშია, ოცნების ქურაშია გატარებული და ფერწაცხებული.

და ამიტომ თეატრი იმდენათვე არის ოცნების ტაძარი, რამდენათაც ხელოვნების.

რა მნიშვნელობა აქვს თეატრს?

ის, რა მნიშვნელობაც აქვს ოცნებას, ხელოვნებას.

აფაქიზებს ჩვენს გრძნობას, ამაღლებს ჩვენს სულს, ალამაზებს იმ ყოველდღიურ ცხოვრებას, რომელსაც ჩვენ უპყრივართ ბრჭყალებში როგორც მიჩინოს გნოლია პოეტის თქმისა არ იყოს, და სასიცოცხლო სამრქმედო ძალასა გვმატებს.

საჭიროა, რომ ადამიანს სიცოცხლე უყვარდეს, მაგრამ სიკვდილისა კი არ ეშინოდეს; საჭიროა, რომ ადამიანი ღირსეულათ ატარებდეს ადამიანის სახელს.

ამგვარ მიზანს სხვათაშორის თეატრი ახორციელებს.

უბრალო გასართობიც რომ იყოს თეა-

ტრი, ყოველ შემთხვევაში ის გონივრული გასართობია, ადამიანის გულსა და გონებას წრთვნის,—მაშასადამე ამ თვალთსაზრისითაც ის არის ფრიად საჭირო კულტურული დაწესებულება. დღეს კულტურულ ერათ არასგზით ჩაითვლება ის ერი, რომელიც ეროვნულ თეატრს მოკლებულია.

ეროვნული თეატრი მარტო შენობა კი არ არის,—ეროვნული თეატრია მსახიობი, დრამატურგი, რეპერტუარი და ბოლოს შენობა.

ცალიერი შენობა ეროვნულ თეატრს ვერ შექმნის. ხოლო თუ მსახიობია და დრამატურგი,—ეროვნული თეატრიც არის.

რასაკვირველია, შენობას დიდი მნიშვნელობა აქვს. შენობის უქონლობა აფერხებს ეროვნული თეატრის საქმესა და განვითარებას.

მაგრამ მსახიობსა და დრამატურგს მეტი მნიშვნელობა აქვთ.

ქართული თეატრის დაწვა დიდი უბედურება-კი არ იყო, დიდი დანაკლისი იყო ჩვენ მართლა და მართლა არც იმდენათ ღარიბი ვართ, რომ სამას-ოთხასი ათასი მანეთის დაკარგვა ეროვნულ უბედურებათ დავსახოთ.

ხოლო ჩვენ რომ ვერ შევქმენით დღემდე სულ უბრალო პირობები ჩვენი დრამატურგებისა და მსახიობების ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, ეს კი უბედურებაა.

გედევანიშვილის „სინათლე“ მგონი თექვსმეტჯერ მაინც დაიდგა ერთი სეზონის განმავლობაში. საარაკო ბედია ქართველი დრამატურგისათვის

მერე რამდენი მიიღო ასეთი ბედის მწერალმა?

შიუკაშვილს საკმაოთ დიდი ნიჭი აქვს დრამატურგისა. უმეტესი დრო სპეციალურ შრომას უნდა მოანდომოს სასწავლებელში და შემდეგ დაღლილი და მოქანცული უნდა შეუდგეს თვისი სულიერი წყურვილის დაკმაყოფილებას.

რამიშვილი თვალსაჩინო ნიჭია. მთელი დღე და ზოგჯერ ღამეც ავადმყოფებს უნდა მოანდომოს და დაღლილი და დაქანცული უნდა მიუჯდეს საწერ მაგიდას.

გარწმუნებთ, არც შიუკაშვილს, არც რამიშვილს არ მიუღიათ თავის პიესებში იმდენი, რომ ქალალდის ფასათ ჰღირდეს.

განათლებული ახალგაზრდობა მსახიობობას გაურბის.

რატომ?

იმიტომ რომ ეს ოხერი კუჭი ყველასა აქვს.

მე კარგათ ვიცნობ ერთ განათლებულ ახალგაზრდას, რომელსაც საკმაო ნიჭი აქვს რეჟისორობისა, დიდი სურვილი და საკმაო მომზადება.

მერე?

— რა ვქნა, ქართული სცენა ვერ მარჩენს და იძულებული ვარ, სხვა საქმეს მოვკიდო ხელი.

მტყუანია? შემცდარი?

როგორ შეიძლება მისი გამტყუნება? ის ხომ ფუფუნებას არა თხოულობს, განცხრომას ხომ არ ეძებს,—ის ითხოვს მინიმუმს, ურომლისოთაც შეგნებულ ადამიანს ცხოვრება არ შეეძლია და ჩვენი სცენა ამ მინიმუმსაც ვერ აძლევს მას.

ქართულ თეატრს სათავეში უდგია გამგეობა.

დადგება არჩევნების დრო და ძველ გამგეობას დამნაშავის სკამზე ვსვამთ. ასე იყო და ასე არის,—ერთი და იგივე უცვლელათ მეორდება.

მე თვითონ ვიყავი ერთ დროს გამგეობის. წევრათ თოთხმეტი საათი დღეში სპეციალურ სამუშაოს უნდებოდი და შემდეგ მივდიოდი სხდომაზე.

რა უნდა გამეკეთებია? დაღლილ და მოქანცულ ადამიანს განა ნაყოფიერი შრომა მოეთხოვება.

უსასყიდლოთ შრომა მხოლოდ მდიდარს შეუძლია, ჩვენში კი მდიდარი ძალიან ცოტაა.

მაშ რა უნდა ვქნათ?

უწინარეს ყოვლისა უსასყიდლო შრომა უნდა მოისპოს.

ჩვენში მსახიობიც, დრამატურგიც, დრამატიული გამგეობის წევრიც,—ყველანი უსასყიდლოთ შრომობენ ასეთ პირობებში დღევანდელ დღეს ნაყოფიერი შრომა შეუძლებელია.

აბა მიეცით გედევანიშვილს, შიუკაშვილს, რამიშვილს ყოველ პიესაში საკმავო ჯილდო არა ნაკლებ თი თუმნისა თითო მოქმედებაში — მაშინ ისინი სავალდებულო სამუშაოს შეამცირებენ და მეტ დროს წერას მოანდომებენ; მაშინ გა-რწმუნებთ, მათი შრომა უფრო ნაყოფიერიც იქნება, უფრო ღირსები ნიც. დაუნიშნეთ განგეობის ზოგიერთ წევრს მაინც ჯამაგირი. მაშინ გამგეობის შრომაც უფრო ნაყოფიერი იქნება.

გვიღეთ რეჟისორებისა და მსახიობთათვის საკმაო თანხა, ნიჭიერი რეჟისორებიც მუდმივად გვეყოლება. განათლებული მსახიობებიც.

ამ მხარეს ჩვენი თეატრისას გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე შენობას.

ჩვენ კი ამ მხარეს ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ და, თეატრი რომ დაიწვა, ლამის შავები ჩავიცვით.

სადა გვაქვს საამისო ფული, მეტყვიან.

როცა არა გვაქვს, საყვედურებსაც თავი უნდა დავანებოთ.

თუ გვექნება, მაშინ ეს ფული მარტო შენობას კი არ უნდა მოვანდომოთ, არამედ უნდა შევქნათ ერთგვარი ფონდი ჩვენი დრამატურგების, მსახიობების და საზოგადოთ სცენის მსახურთა ცოტაოდენი რიგიანი უზრუნველ ყოფისათვ ს.

ე. გ[illegible]

სკრიპკა

ცივა. ღამეა. წვიმა ოდნავ სცრის,
სევდა კაეშანს სუყველასა ჰგვრის.
არსად იმედი არვის უცინის,
ცასთან ერთადა მიწაცა სტირის.
უცბათ... დაირღვა სიჩუმე ბნელი:
შენ სკრიპკას ოდნავ ჩამოჰკარ ხელი,
სიმი აკვნესდა, აკვნესდა ველი,
თვალცრემლიანი ვისმენ და გელი..
შენ მაგ მუსიკას ტანჯვა ჩაართვი,
გატეხილ ღამის ნაფიქრი შავი,
სულის გოდება, შხამით ნალესი,
და მოხუცს დედის ამონაკვნესი.
დასტირის სკრიპკა...ხმა ისმის ნელი,
ირგვლივ სიჩუმე... ღამეა ბნელი,
შენ დააფრქვიე სიმებზე ცრემლი:
შესწყდა მუსიკა, მუსიკა მწველი!
მხოლოდ ეროს წუთსა. და ისევ ძველი
გაისმა ტანჯვა სასტიკი, ძნელი.
კმარა! შეჩერდი! არ შეიძლება!
ოხ, სინამდვილემ ოცნება სძლია.
და მაგ მუსიკამ მთლად დაირღვია
ჩემი ოცნების ჭრელი არშია..

მარიჯან

აჯიკენტი. ივნისი 1916 წ.

ქუჩაზე

— გაიკითხეთ საწყალი ადამიანი, შიშველი, უთვისტომო და უნათესავო, მიეცით შეძლება მწარე სიცოცხლე ატაროს კიდევ მცირე ხანს...

— ა—ა, რა სთქვი?

— მუდმივი და აუტანელი ჯაფის გამო საუბედურო დავკარგე შრომის უნარი და ქვეყნისთვის მეტ ბარგად გავხდი... გამიკითხეთ.

— გაიმეორე.

— მშიერი ცოლშვილი ცრემლიანი თვალებით ელიან ჩემს მისვლას. სცივათ. კონკის ძველებს აკერებენ და თან დასტირიან თავიანთ უბედობას...

— არ მესმის. ვერა გავიგე-რა!

— ყრუსთვის ზარს მეორედ აღარ დარეკენო.

— რაიო, ყრუსთვისო?! პოლიციელო! წაიყვანე ეს არამზადა, ქუჩის თავხედი, და დილამდე არსად გაუშვა გესმის?!

— მესმის, თქვენო კეთილშობილებავ. ახლავე შევასრულებ.

ა. ჭელიძე.

ერთად ერთი შვილი

(სურათი)

შემოდგომის პირია. სიცოცხლე სჩქეფს, ყველა რომ გამალებით მუშაობს, ზამთრის საზრდო შეიტანოს, მხოლოდ მარინესათვის-კი არავინ არასა ფიქრობს; ის ოთხ კედელ შუა ზის დაძმარებული, უიმედოთ გამოიყურება და ხშირად ამოიძახებს ერთსა და იმავე სიტყვებს:

— ახ, შვილო, სადა ხარ, სადაა, დედა გენაცვალოს, ჩემო იმედო, ჩემო მარჩენალო, ერთად ერთო, დედის ერთა შვილო ივანე!.. აგერ ერთი წელიწადია, რაც შენს დასაბრმავებელ დედას მოგაშორეს შვილო! ნეტაი ვიცოდე, ცოცხალი მყეხარ, თუ არა? ვინ იცის მტრის ტყვიამ გაგიგმირა გული სადმე, უდაბურ-ტყე-ღრეში გდიხარ უპატრონოდ და შენმა დასაბრმავებელმა დედამ-კი არა იცისრა, თავს არ გევლება და წყლულს არ გიხვევს!.. ივანე, შვილო ივანე.

მარინეს მოხუცი ქმარი ბესარიონი კი ყოველთვისინ ერთსა და იმავე ადგილსა ზის და მიწას ჩასჩერებია, ჩუმად, თითქოს იქიდან უნდა ამოიკითხოს ივანეს ამბავიო. ის არც ტირის, არც არავის პასუხს აძლევს. ვინ იცის საით მიჰფრენს მისი ფიქრი? ბესარიონს თვალიც აკლია, მუშაობა სულ არ შეუძლია, რომ თავის შრომით მოინაგროს სარჩო-საბადი. სახლში კი არა მოეპოება რა: არც პური, არც ფული. ივანეს შეზიდული საზდო დიდი ხანია გაათავეს და ხშირად სიმშილითაც კუჭი ეწვებათ, მაგრამ თვისი გაჭირვება არ ახსოვთ, ოღონდ ივანეს ამბავი ვინმემ ამცნოს.

აგერ ფილაცამ წერილი მოუტანათ. მარინე სიხარულით ცას დაეწია.

— აჰა, სალომე, ჩქარა წამიკითხე რასა მწერს ჩემი ბიჭიკო? — მიმართა მარინემ მეზობელს.

სალომემ გადახია კონვერტი და კითხვა დაიწყო:

„საყვარელო დედავ და მოხუცო მამავ! თქვენი დარდი მაქვს, იყავით კარგად. მე ცოცხალი ვარ, დიდი ხანია ლაზარეთში ვწევარ: ზარბაზნის ყუმბარამ ორივე ფეხი მომწყვიტა და მარცხენა ხელიც აღარა მაქვს. ახლა თქვენთვის იზრუნეთ, მე კი მკვდარი მიგულეთ. ასეთი მახინჯი მანდ ვეღარ მოვალ, ყველა დამცინებს. მშვიდობით სამუდამოთ.“

ამ სიტყვების გაგონებაზე მარინეს სახე გაიბერა, თვალები თითქოს უნდა გადმოსცვივდესო. შემზარავად შეჰღმუვლა და უგონოდ დაეცა; მოხუც ბესარიონს-კი თითქოს ჩაეძინაო, გაუნძრევლად მიესვენა ბუხართან კედელს...

ანნა ვენეცკისა.

აშუღების ადათი და ჩვეულება

როდესაც რომელიმე აშუღი თავის ქვეყნიდან სხვა ქვეყანაში მიდის, უეჭველად უნდა ნახოს იმ ქვეყნის აშუღი, რომ ერთმანეთი სცადონ.

აი, იმათი ცდა და შეჯიბრება.

გამართავენ მარაქას *) აუარებელი ხალხი შემოერტყმევა გარსა. ეს ორი აშუღი უკრავს და მღერის კითხვა-მიგებით. აქ კითხვა შინაურ აშუღს ეკუთვნის, გარედ ან მოსულმა კი უნდა უპასუხოს. აი, ამრიგად:

შინაური აშუღი:

კეთილი იყოს შენი მოსვლა აშუღო,
მითხარ, თქვენი ქვეყნიდან რა ამბავი გაქვს?
მე მსურს გამოგცადო სხვა და სხვა რიგათ,
უნდა მიპასუხო, თუ რომ თავი გაქვს.

გარედან მოსული აშუღი:

კეთილი მოგცეს ღმერთმა აშუღო,
მე ჩემი ქვეყნის ამბავი ავი მაქვს;
მცადე რამდენიც შენ შეგიძლიან,
შენთვის პასუხი მწარე და მწვავი მაქვს.

გარდა ამ წყობილობით პასუხისა, სიტყვებსაც-კი უნდა ჰქონდეთ ერთმანეთთან კავშირი. თუ რომ შეიძლო ამნაირათ პასუხის გება, მაშინ გარედან მოსულს აშუღს ეკუთვნის კითხვა, შინაურს — კი პასუხი. თუ რომ შეიძლო პასუხის გება, მაშინ რიგდებიან და ჰკოცნიან ერთმანეთს. აშუღი მხოლოდ მაშინ აგებს და მარცხდება, როცა ლექსით ვერ აძლევს პასუხს.

არის კიდევ ამ გვარი შეჯიბრება.

ერთი აშუღი ქაღალდზე სწერს ვამოცანას,

---

*) მარაქა—შეკამათება სიმღერა-ლექსებით.

ნემსით მიაკერავს ერთ ძვირფასს შალზე, დაჭკიდებს ყავახანაში კედელზე, სადაც ოთხს იურიან და სამარაქოთ სხდებიან სხვა და სხვა მხრის აშუდები, კიამართება კამათი, დაკვრა და ლექსებით ძებნა გამოცანისა. ყავახანა იგსება ხალხით და ბლომა ფუდიც კრთვდება აშუდებისთვის...

ჯინც რო კამოცანას იპოვის, შალიც იმისი იქნება და მოკრთვილი ფუდიცა, თუ არა და რჩება პატრონს. კამოცანის ბოვნაც ადვილი არ არის

ა, რა ანკარიშია დაწერილი:

მაკალითად სათი რომ ასლად კამოიკონეს, ერთმა აშუდმა სათზე ასეთი კამოცანა დაწერა: „მე დდეს ერთი რადცა ვნახე, ერთოთვად დადიოდა, მიდიოდ-მოდიოდა, დაუსვენებლად, ხან ზარიკით სმას იდებდა, ხან უცბად დაჩუმდებოდა და კრინტს არა სძრავდა.. ეგ რიცხვით ათი იყო, მაგრამ მაგ ათსა თერთმეტი აკლდა. კაიგე ეს რა არი, აშუდო?“

იმის სახელსაც ამ ანკარიშით ჰკითხავს: „ხმა სამი, ასო ხუთი და ეს ოთხი ასო რამდენს თვლას შეადგენს..“ შეიძლება ამ სამი ხმით ხუთი ასოთი და (ქორონიკოს) თვლით სხვა სახელიც კამოვიდეს, გარდა სათისა, მაგრამ უნდა ერთმანეთსა და სათის მოქმედებას ეთანხმებოდეს. ესთქვათ სათი იპოვეს და ამ ანკარიშით ვერ დაუმტკიცეს, ეგეც არაფერი. მაშასადამე სათიც უნდა ახსენოს და ზემოხსენებული ანკარიშითაც უნდა დაამტკიცოს. ეს კამოცანა საიდუმლოთ უნდა იცოდეს ყავაჩიმ. *)

დექსით მძებნელი ახსენებს კამოცანის სახელს თუ არა, მაშინვე ყავაჩი დაჭკრავს ყუსტზე მაშას, რომელიც ეჭირება მარად ხელში და დაიძახებს: „დადექით, იპოვნა!“

მაშინ კამოცანის პატრონს მოსთხოვს სამი ხმით ხუთი ასოთი და ქორონიკოს ანკარიშით დამტკიცებასა.

ჰაზირა

**) ყავაჩი—ყავახანის პატრონი.

წერილები მეგობართან

ქართველ მუსულმანების შესახებ

ქართველ ქრისტიანთა შორის, სამწუხაროდ, არიან ისეთნი, რომელნიც დღესაც კი ქართველ მუსულმანებს „თათრებს“ ეძახიან. ჯერ კიდევ ვერ გაუგიათ ამ საბრალოებს, რომ არსებობს ერი და ამ ერს შეუძლია ჰქონდეს სხვა და სხვა სჯული. .

ერთმორწმუნოება დღეს ძალადობის სატრფიალო მოძღვრებაა... სარწმუნოება, სჯული სინიდისის საქმეა... მე შემიძლია ვიყო მუსულმანი სჯულით, ხოლო ტომით, სისხლით, ენით, სხეულით—**ქართველი**...

ქართველობა სრულიადაც არ ნიშნავს **ქრისტიანობას**... ქრისტიანები არიან რუსებიც, ბერძნებიც, ფრანგებიც, გერმანელებიც და სხვა... ნუ თუ ყველა ესენი ქართველებია?! ქართველობა—ეროვნობის, გვარტომობის მაჩვენებელი სახელწოდებაა.

მუსულმანობა და თათრობაც ერთი არაა. მუსულმანის სჯულის არიან: არაბები, ეგვიპტელები, იაპონელები, ქართველები, ყაზანელი თათრები და სხვანი...

სირცხვილი იმ ქართველს, რომელიც ქართველ მუსულმანებს დღესაც „თათრებს“ ეძახის... მათთან კავშირს და ურთიერთობას გაურბის.

ამას წინად შევხვდი ერთ ქართველ ქალს, რომელიც ცოლად გაჰყვა ქართველ ინტელიგენტ-მუსულმანს... მეტად დაღონებული იყო იმის გამო, რომ თურმე მისი ნათესავები აყვედრიან: **თათარს რად გაჰყევი ცოლადაო?!**. მაგრამ პატივცემულმა ქართველმა მანდილოსანმა უფრო ხასიათის სიმტკიცე უნდა გამოიჩინოს:—რაც უნდა ის სთქვან უვიცებმა,—მათი ნათქვამიდამ რა გამოვა?!.

კავშირი ქართველ ქრისტიანთა და ქართველ მაჰმადიანთა შორის თანდათან მტკიცდება... საქართველოს მიწის დედა-ღმერთი მეტად აღტაცებულია, რომ დადგა სასურველი ხანა ამ ორი მოძმის გაერთებისა. . უვიცთა ბოდვა, ვინც უნდა იყვნენ ეს უვიცნი, ქართველი ქრისტიანები თუ მაჰმადიანები, ამ გაერთების საძირკველს ვერ გამოუთხრის ძირს

გაჭირვებულს ჟამს ჩადგმული საძირკველი ერთობისა შეტად მტკიცე...

ისე არაფერი აკავშირებს მოძმეებს, როგორც საერთო გაჭირვება:.. და ამ ერთობის საძირკვლის ჩადგმაში, თქვენ პატივცემულო ქართველო ქალო, რომელმაც მეუღლედ აღირჩიეთ ქართველი მუსულმანი, დიდი საპასუხო მიგიძღვით .. რაც უნდა სთქვან თქვენმა მონათესავეებმა, ყურადღებას ნუ მიაქცევთ.

შაბაშ ქალო! შაბაშ საქმევ, მისგან ქმნილო!

შენი **ჩაქუჩი.**

ქართული თეატრის შესახებ

ქართული თეატრის გარეშემო ქართული ბრესა ახმაურდა და სხვა და სხვა წინა დადებანი იწერება ქართულ გაზეთებში. ქართული საზოგადოებაც შეიშმუშნა, მგონი კიდეც შეიკრიბენ, მაგრამ,—

„სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა,
შუა უზის დიდი ზღვარი“.

ჩვენ, სამშობლოს გარეთ მეოფნი ქართველნი, გულის ფანცქალით თვალ-ყურს ვადევნებთ, რაც ხდება ქართული თეატრის გარეშემო. ორი წელიწადია, სამწუხაროდ, მარტოკოდება და ბარაკი გვესმის და შეტი არაფერი...

როდესაც „ისაქართველოში“ თეატრის მეგობრის წინადადება წაგიკითხე, ისე მოშეწინა, რომ სიხარულით ცის დაგეწიე. მეგონა, ქართული თეატრის მესვეურნი დაუფიქრებლივ შეუდგებოდნენ შესანიშნავ წინადადების განხორციელებას. ეს აზრი ბ-ნ თეატრის მეგობრისა ადვილი განსახორციელებელია და სასურველია მალე გამოიცეს მოშეგებანი ბიდეოები. ანასხმად ბ ნ ნელი ს აზრისა („თეატრი და ცხოვრება“ № 48), მეგაისრულოს უფასო ადეურ აგენტობას, გულმოდგინეთაც შეუდგები ფუდის შეკრეფვებას, ოდონდ მალე ვედარსოობილისში ერეოვნულ თეატრს—ამავე ერეოვნულ სკოლას.

ვასილ კირვალიძე

ბაქო. 1916 წ.

სახალხო თეატრის ისტორია

ნაძალადევის თეატრი.

(„თ. და ც.“ № 40)

1898 წლის ნაძალადევის სახალხო თეატრის საქმე კარგად მიდიოდა. გამგეობის წევრნი მუდამ ენერგიულად მუშაობდნენ და ეოველი მათგანი ცდილობდა, თვის პატარა ახალად დაარსებულ სცენისთვის რამე შეეძინა. ამ სახალხო წარმოდგენების კარდა გამართეს ერთი მადად ფასიანი წარმოდგენაც, რომლის შემოსავალიანაც დაარსეს სამრეველო სკოლა. კრიგოდ ჩარეკვიანი ძალიერ ბევრს ცდილობდა როგორც სახალხო თეატრისათვის ისევე ამ ხსენებული სკოლისთვის. მოაკრიბა იქვე ახალ-ახალ მცხოვრებნი, მიმართა თხოვნით, აუხსნა ახალად გახსნილი სკოლის მდგომარეობა და სთხოვა დახმარება. მიზანს მალე მიაღწია და სკოლის საქმეც სასურველ დონეზედ დააყენა.

ეოველ წარმოდგენას ხალხი აუარებელი ესწრებოდა, უადგილობის გამო ბევრი ბრუნდებოდა უკან, ბევრი თეატრის დობეზე ხოხდებოდა; გამგეობის წევრნი დიდ წვალებაში იყვნენ და არ იცოდნენ, როგორ შეეკვეთინათ ეს მოზდვავებული ხალხი, უშალიდნენ დობეზედ ფოფოხვას, მაგრამ წესიერება მაინც ვერ მყარდებოდა, რადგანაც თვით საზოგადოებაში იყვნენ ისეთნიც რომლებიც წინააღმდეგნი იყვნენ წარმოდგენებისა, ამას კარუვნიდობას ეძახდნენ და ცდილობდნენ რითიმე შეეშალათ ხელი. ერთ სალამოს წარმოდგენის შუაღლობის დროს ხალხმა ფიცრის დობე გადაანგრია, აირია ხალხი. (გრ. ჩარკვიანი კინაღამ არ გათელეს, იოსებ ბეგლარიშვილმა გამოსტაცა ხელიდან გაპოთრებული ხალხს, რომელიც ყვიროდა: ჩვენ სასუქარი გვინდა, და არა თეატრი) ჩამოუშვეს ფარდა და შესწყდა იმ დამის წარმოდგენა. გამგეობის წევრებმა ადარ იცოდნენ რა ექნათ: ოთვალნი ენერგია ხალხის დარიგებისთვის შეეწირათ, თუ წარმოდგენებზე ეზრუნათ.

ამ წარმოდგენების მართვაში მონაწილეობდნენ: ქ-ნი ხვეტასი, ტარიელოვისა, რჩეულოვისა, ნ. სუვარეულიძე, ურუშანოვისა, ლიზა ვარშაკიძე, სონა ციციშვილის ასული, სონა დომბური, ოთმრა ბეხაზიშვილი; კაცები: ალ. ბაქრაძე, იოსებ ბეგლარიშვილი, დათიკო შვილიძე, მიშა თუშმალაშვილი, (სუფლიორად), ის, ძნელაშვილი, გიგო გელიკურა-

შვილი, ივ ჭავჭავაძე, ივ. ინასარიძე, გიორგი ჯაბაური, რომანოზ სალაყაია, ბეგლარიძე და ლაზარე მაისურაძე. ამავე წარმოდგენებში არტისტოთაგან მოწვეული იყო: ვასო აბაშიძე, ადამ ადამიძე და სანდრო თამაზიშვილი. ასე ეწვალა ნაძალადევის სახალხო წარმოდგენების მმართველი ამხანგობა კარგა ხანს.

რადგანაც ამ წარმოდგენებს ხელის შემშლელი ბევრი აღმოუჩნდა, ამიტომ ზემოთ ხსენებულმა ამხანაგობამ ერთ თავის კრებაზე გადაწყვიტა, ნაძალადევის თეატრის საქმე გადაეცა უკვე არსებულ ავჭალის აუდიტორიის სექციისთვის, რომელიც დიდის სიამოვნებით დასთანხმდა და ნაძალადევის ამხანაგობაც დაიშალა.

გ. ჯაბაური.

ჩემო მადონნავ! *)

გულ-ატოკებით,
ტკბილ ფიქრთა გზნებით,
ზე-შთაგონებით,
ციურ ოცნებით,
გაქანდაკებდა მხატვარის ხელი.
მაგრამ ეს გრწამდეს,
ვინც უნდ გხ ტავდეს.
ჩემდენ სიყვარულს
ვერ იგრძნობს აღძრულს
თუნდ ღმერთი იყვეს, თუნდ რაფაელი!

* * *

ვერა, ვერ ვუცქერ გულდამშვიდებით
ოცნებით სავსე შენს ცისფერ თვალებს,
მოვკვდებით.. ერთად აღარ ვიქმნებით,
ეს-ღა მაშფოთებს... ეს-ღა მაწვალებს..

* * *

მაგრამ რას ვამბობ,
გრძნობას გავათბობ
და მსუბუქ ფრთებით
გადავფრინდებით
ჩემო მადონნავ, ოცნების მხარეს.
იქ მე დავხატავ
ჩვენს უკვდავ სიზმარს,
იქ კვლავ მოვმართავ
ჩემს წკრიალა ქნარს,
იქ გულ-შივ ჩავკლავ გრძნობათ სამარეს!

1910 წ.



*) ეს ლექსი მიღებულია 1910 წ. რედ.

ომის მსხვერპლი

პრაპ. ლადო ნიკ. ჩოდრიშვილი

საერთაშორისო ომმა შეიწირა კიდევ ერთი მრავალთაგანი ჩვენი გლეხისშვილი ლადო ჩოდრიშვილი, რომელიც 1914 წ. უბრალო ჯარისკაცად გაიწვიეს და მალე პრაპორჩიკთა სკოლაში გადაიყვანეს. ლადომ 1915 წ. პრაპორჩიკობა მიიღო და ავსტრიის ასპარეზზე გაიგზავნა, სადაც მარიამობისთვის 18 ბრძოლის ველზე მოკლეს. ნიჭიერი ახალგაზდა იყო, ზაფხულობით ქიზიყში სხვებთან ერთად წარმოდგენებს მართავდა. დამწერლობასაც მისდევდა. დაწერილი აქვს პიესა „სიმართლე გაიმარჯვებს“, დაწყებული ჰქონდა ეგ. ნინოშვილის მოთხრობის „პარტახი“-ს გადაკეთება, და თვითგანვითარებას ეწაფებოდა, რომ უფრო მომზადებული შესდგომოდა ხალხის საკეთილდღეოდ მოღვაწეობას, მაგრამ საუბედურო სიკვდილმა აღარ აცალა. 20 წ. იქნებოდა.

სატრფოს

მოწყვეტილი ვარსკვლავი ხარ,
ღამის ცას რომ აელვარებს,—
ცის ნამი ხარ სანუკველი,
დილის ვარდებს რომ ახარებს,
ხარ იმედი სასურველი,

ზოგჯერ გულს რომ ანეტარებს.
მას აქეთი, რაც გაგიცან
და მოგანდე ჩემი გული,
ლხინად მექცა მწარე ტანჯვა,
სასუფევლად—სიყვარული.
გულს მალამოდ მოევლინე,
შიგ დაჰბადე სიხარული,

ლაჟვარდ ცამდის აამაღლე
დაცემული ჩემი სული!
მაშ, მოფრინდი, ჩემო ყველავ,
სასოებით, მარად გელი...
და მეპკურე ცხოველ ნამად,
გამინათე არე ბნელი!

სავლე აბულაძე

მარტოობა

(პ. რაიმონდიდან)

უსაზღვრო ცას, დაჟვარდოვანს ოდნავ თვალი მოუჭუტავს,
და ვარსკვლავი, მსოფლიდ ერთი, ამ სივრცეში მკრთალად ბჟუტავს
მყუდროებას მთლად შთაუნთქავს დედამიწის გულის ძგერა,
მხოლოდ ერთკენ გამოისმის ნაღვლიანი ტლეუ სიმღერა.
გარს ბობოქრობს ცხოვრების ზღვა, უთანგრძნობო, უპირული
და ამ ზღვაში მხოლოდ ერთი სწუხს და შფოთავს ჩემი სული.

ფ. რუშაველი

ოსე მწერალი

პიესა 4 მოქ. სოფლის ცხოვრებიდან

ეგ. ნინოშვილის მოთხრობიდან გადმოკეთებული **გრ. საქარიქედელის მიერ**

V

ეგინიეე და მწერალი.

(ბლეხები ფეხზე ადგებიან და თავს უკრავენ. მწერალი მადლობის ნიშნად მოთრახს მიაიდებს კისერზე)

მწერალი. ვინც დღეისთვის იყავით დაბარებული, წადით და ხვალ დილას მოდით.

1 **ბლეხი** დევიღუპეთ, ბატონო! მუშაკაცობა აგი დღეები ძვირად ღირს.

ძველი ბლეხები. თუ შეიძლება გაგვანთავისუფლეთ.

მწერალი. მერე თქვენ რომ სულელურად აქ დაცვინდეთ, ჩემი ბრალია? ხომ დაინახეთ დამიგვიანდა, რატომ არ წადით სახლში?

3 **ბლეხი.** რა ვიცი, თქვენ დალოცვილო, ხან იმას გვიჩვენ: რავა გაბედეთ უკითხავათ წასვლაო, სალამომდინ უნდა მოგეცადათო; ხან—რეიზა არ წადითო. რა ვქნათ, არ ვიცით!? გვირჩიეთ, დაგვაყენეთ ერთ გზაზე.

მწერალი. შენთან სალაყბო თავი არა მაქვს, მოსვენება მესაჭიროება; გეუბნებით ხვალ მოდით თუ არა და წადით და თქვენებურად დამიწყეთ საჩივარი, თუ რამეს დამაკლებთ.

(ორ ბლეხსა და ბაბალეს გარდა ყველა გადის, მწერალიც გასვლას აპირებს, მაგრამ ბაბალე წინ უხოქებს)

ბაბალე. შენი მუხლების ჭირიმე ნუ გამიწყრებით.

მწერალი რა გინდა, რა საქმე გაქვს, სთქვი მალე, მოსვენება მესაჭიროება.

ბაბალე ჩემი ოქრუაი წელს სალდათათ აგიწერიათ

მწერალი. მე კი არა—ხელმწიფემ აწერა.

ბაბალე. რას ბრძანებ, შენი ჭირიმე, ჩემი ოქრუასთვის აქ ხელმწიფე როგორ მობრძანდებოდა?!

მწერ. ხო, მისი ბძანებით ვწერთ, სულ ერთია; შენ სთქვი რაც გინდა.

ბაბ. (ხვეწნით) მიშველე შენი ჭირიმე, იქნებ როგორმე გადამირჩინო ჩემი ოქრუაი. შენ ხელს რომ ეკადრება იმისთანა ქალალდი გამიკეთე.

მწერ. (ცოტა ფიქრის შემდეგ) ამ შემთხვევაში შველა ძნელია. ხელმწიფის გადაწყვეტილია, ვისაც შეხვდება უნდა წავიდეს. კენჭის საქმეა.

ბაბ. წეიღე რაც მაბადია და მიშველე რამე.

მწერ. (მოუბრუნდება დარჩენილ ბლეხებს) წადით, თქვენ რას უყურებთ, ყრუები ხართ?!

ერთი ბლეხი. მეც სიტყვა მქონდა, ბატონო, მოსახსენებელი. მოსიკელას თხებს ჩემი ყანა გოუფუჭებია, მინდოდა „პროტოკოლი“...

მწერ. (აწუეტინებს) წადით ეხლა მე პროტოკოლიზა და თხებიზა არა მცალიან.

მეორე გლეხი. მაშ რა ვქნათ, ბატონო, „პოპოშნიკი" მაინც გაგვატანე.

მწერ (მათრახს მოიქნევს და შეჰყვირებს გლეხებს) გეუბნებით წადით! .. (გლეხები გადიან).

მწერ. (გაიგლ-გამოივლის, ჩაფიქრდება და შემდეგ მიმართავს ბაბალეს) სალდათობის საქმე ყველა საქმეზე უმძიმესია. სხვა საქმე რომ იყოს, ადვილათ გიშველით, ეგ კი, როგორც ვთქვი ძალიან ძნელია. (ჩაფიქრდება) მაგრამ ვთქვათ მოვახერხე, რას მომცემთ გასამჯელოს?

ბაბ. მიქენი მოწყალება, მიშველე რამე და მთლად ჩვენი ოჯახი რომ წეილო, გულს არ დაგვაკლდება, ოღონდ ოქრუა კი გადამირჩინე. ხარები მყავს კარგი, დილას რომ ვსთქვა, საღამოს გავყიდი.

მწერ. არც ოჯახს წავიღებ და არც ოჯახის მეასედს, ისე, ოუ მოგიხერხო და გავანთავისუფლო ოქრუა, ხუთი თუმანი მომეცი.

ბაბ. ხუთი თუმანი რამდენი მანეთია, შენი ჭირიმე?

მწერ. რა, გეძვირა? ხუთი თუმანი ორმოცდა ათი მანეთია! არ გიღირს ოქრუა ხუთ თუმნად?

ბაბ. ვაი შენ ჩემო თავო, რა მიბძანეთ აგი? ოქრუა არ მიღირს ორმოცდა ათ მანეთად! იმაზე დავფიქრდი ბედშავი გავახერხებ თუ არა იმდონს მეთქი.

მწერ. რაი, ხუთ თუმანს ვერ მოახერხებენ შენი შვილები? ხუთ თუმანს კი არა, ხუთას მანეთსაც მოახერხებენ, მე კარგად ვიცნობ შენ შვილებს სოფონას და ოქრუას. მე ჯერ სიტყვას ვერ მოგცემ, შემიძლია გიშველოთ თუ არა. თუ კი შველა შეიძლება, ხუთი თუმნის გადახდაც ნუ დაგეზარებათ. ოქრუა ხუთ თუმანზე მეტი ღირს.

ბაბ. არა; შენი ჭირიმე, როგორ დამეზარება, ხვალვე გავყიდი ხარებს, ათი თუმანი ღირს, ხუთ თუმნად ვეღარ გავყიდი?!

მწერ. მაშ წადი, ფული დაამზადე. ხვალ მამასახლისს წამოვიყვან და ერთი კეთილ სინდისიერს. ქაღალდებს გავაკეთებ.

ბაბ. კი, შენი ჭირიმე, მობძანდით. (ბაბალე შეჩერდება, მერე წასვლას აპირებს)

მწერ. იცი, რა: ქაღალდის გასაკეთებლად კიდევ მღვდელი იქნება საჭირო, ისიც მოიყვანეთ და შინ დამახვედრეთ.

ბაბ. მღვდელი რაღა საჭიროა, ბატონო!

მწერ. საჭიროა; თუ არ იყო—არც გეტყოდით. ნუ იცით სიტყვის შემობრუნება. თუ შენ იცოდი, რაც იყო საჭირო, მე რაღას მკითხავდით.

ბაბ. მე რა ვიცი შენი ჭირიმე, ერთი საწყალი ქვრივი ვარ, წვითა და დაგვით გამიზრდია ორი შვილი...

მწერ, (სიტყვას აწყვეტინებს) მაშ ასთე: ამაღამ კიდევ მოვიფიქრებ ამ საქმეზე. შენ წადი, ფული იშოვნე, მღვდელი უსათუოდ უნდა მოიყვანოთ.

ბაბ. კი, ბატონო, მივალ თუ არა, გავატან ჩემ სოფონას ხარებს გასასყიდათ. ხვალ მოგელით.

მწერ. ხვალ უსათუოდ მოვალ. მღვდელი უსათუოდ უნდა მოიყვანოთ.

ბაბ. (თან მიდის) კი ბატონო, მამა ათანასე ისეთი კეთილი გულის არის, რაც შეუძლია, ყველაფერში დამეხმარება, ოქრუაც ძალიან უყვარს. (გადის)

მწერ. (გაივლ-გამოივლის ჩაფიქრებული) ძნელი მოსახერხებელი კი არის ეს საქმე. (ფიქრის შემდეგ სიხარულით) მაგრამ არა უშავსრა, ასეთები მომიხერხებია!. დავწერ ქაღალდს, ვითომ სოფონა გერია ბაბალესი და არა მისი ნაშობი შვილი, რომ გარდა ოქრუასი მას მარჩენალი შვილი არა ჰყავს. მღვდელს შევამოწმებინებ. მორჩა და გათავდა. (ცოტა ფიქრის შემდეგ) მღვდელი მოხუცებული, უსწავლელი კაცია, რას გაიგებს. თანაც გულ-კეთილია, (სიხარულით გაივლ გამოივლის). ორი კალმის მოსმით ხუთ თუმანს ჩავიდებ ჯიბეში. ვინ რას გამიგებს? რომ გამიგონ კიდეც, რას დამაკლებენ. ბევრჯელ კიდევაც მიჩივლეს, მაგრამ მაინც ვერაფერი დამაკლეს· ხერხი უნდა, ხერხი: „ხერხი სჯობია ღონესა ,თუ კაცი მოიგონებსა",

რას

მიქვიან სინიდისი, პატიოსნება. სინდისიც ფულია და პატიოსნებაც. ფული პატარა ღმერთია. გაზეთში რამდენიც უნდა იმდენი მიწერონ: მოსე მექრთამეა, ხალხის მყვლეფელიო.. გაზეთში მჯღაბნელებს ორს კი გა-

ვუკარი ხელი და გავაგზავნე და კიდევ მაცადონ, ბევრს გავბაწრავ. (ცოტა ხნის შემდეგ) როგორ მომიწონებს ამ ამბავს ჩემი კატო! როცა ბლომათ მიუტან ფულებს და ვეტყვი ეს ჯამაგირის გარეშეა მეთქი; ყელზე მომეხვევა და მეტყვის: „შენი მარჯვენის ჭირიმე შენი"-ო. ჩემი კატო კარგად მყავდეს და ვინ რას დამაკლებს, „სლედოვატელიც" და პრისტავიც მისი თაყვანისმცემელია.

მსახური ქალბატონი გიცდისთ.

მოსე მწერ. ახლავ (მიდის, შეხედავს მამასახლისს) ოხ, ალბად ეს დღეს ძალიან გახეთქილა, რომ ამდენ ხანს ველარ გამოიღვიძა.

(გადის)

ფ ა რ დ ა.

გრ. საქარიქიდელი

(გაგრძელება იქნება)

დ ე დ ა

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც." № 49).

ქალიშვილები ფანჯარაში გაიყურებოდენ და უკვირდათ „მისი."

— უყურე, როგორ ჩეხავს შეშასა! ომელკო კოვალივისთანა ღონიერი ყოფილა.

— რა იცი, რომ მასზე უფრო მძლავრი არაა?..

ბარბარემ ფეჩი გაახურა.

— დედა, შეხედე! შეშა მოკრიბა და სახლში მიაქვს!— წამოიძახა პარასკამ.

— მერმე რა?

შემოვიდა „აზიატი" და ფეჩის წინ უშველებელი ხროვა შეშისა დაახრიალა.

— გმადლობ!—გულითადი მადლობა გადაუხადა ბარბარემ.

— ხარაშო!—მიუგო „მან" თავის დაკვრით, ტახტზე ჩამოჯდა და შუბლზე ოფლი მოიწმინდა.

— მიკოლაც ესეთი იყო,—ფიქრობდა ბარბარე,—იქნება ისიც ეხმარება ვისმეს უცხოეთში... საწყალი გულის პატრონი იყო, ყველას ეხმარებოდა... ვინ იცის, იქნება ცოცხლებშიც არ ურევია ეხლა?..

და ღრმად ამოიოხრა. ამოიოხრა „იმანაც." მოწყენილად გამოიყურებოდა; ფიქრებში გართულიყო და თავი თავისს უზარ-მაზარ მუშტებზე დაეყრდნო.

ყველა უხერხულად გრძნობდა თავსა: უცხო კაცია, მაგრამ ღმობიერი ადამიანის სახის გამომეტყველება აქვს. როგორ გავაგებინოთ რის თქმაც გვინდა. ძალიან კი სწუხს რაღაცას,—რა ვიცით.. იქნება ჩემს ნიკოლასავით სახლში დედა და, უფრო უარესი, ცოლშვილი დასტოვა?.. მაგრამ როგორ გამოჰკითხავ? სადაურად დაველაპარაკო, რომ ვანუგეშო მაინცა?

კართოფილის წვენი რომ ადუღდა, ბარბარემ შიგ ხახვი ჩააჭრა, ღორის ქონი დააურთო, მერმე წვენი დიდ ჯამში გადმოასხა და მაგიდაზე დადგა.

„აზიატი" მაგიდის მოშორებით გადაჯდა-

—ნახე რა გემრიელია—მიუბრუნდა ბარბარე. მოტრია, პური დასჭერი.

თვითონ კი აიღო ახალი კოვზი, ტილო გადუსვა, „აზიატს" მიუახლოვდა და პატივით კოვზი გაუწოდა.

— ჩვენთან ერთად ივახშმე, ღარიბი ვახშამია, მაგრამ კეთილი გულით მოძღვნილი.

„აზიატმა" გაიღიმა და მადლობის ნიშნად თავი დაუკრა:

— ხარაშო!

— აბა, მოდი, მოდი, ხარაშოვ!—გაიცინა ბარბარემ და მასთან ერთად მისმა ქალიშვილებმა.

ყველა მაგიდას მიუჯდა. „აზიატი" ცოტას სჭამდა,—ნახევარი ჯამი არ გამოუცლიათ, რომ მან კოვზი მაგიდაზე დადო, თავი ჩააქნია მადლობის ნიშნად და თავისებურად წამოიძახა:

— ხარაშო!

— კიდევ ჭამე!—სთხოვა ბარბარემ.

მაგრამ „მან" უარი განაცხადა. პატარა პურის ნაჭერი აიღო და ნელა-ნელა ღეჭვა დაუწყო.

— იქნება არ მოსწონს?—გამოეხმაურა დედას მოტრია.—იქნება ეგენი ამისთანას არ სჭამენ?

— რა ვიცი, შვილო!

— იქნება გზაში მოიქანცა ან იქნება ავადაც არი?

— შიშველ-ტიტველი რომაა, ალბად გზა-

ში გაცივდა, —სთქვა ბარბარემ.—შეხედე, როგორ ახველებს!

„აზიატს“ მართლაც რამოდენიმეჯერ ხველა ახრჩობდა, მას ფილტვებიდან ისეთი ხმა ამოსდიოდა, თითქოს ცარიელ ქვევრში ჩასძახესო.

ბარბარემ თხელი საბანი მოიტანა, ოთხად დაკეცა და „აზიატს“ ტახტზე დაუგო. თავ-ქვეშ მიკოლას ძველი დაბამბული ახალუხი დაუდო და ზედ დასახურავად მიკოლასავე ტყავი შესთავაზა.

— დაწექი, მოისვენე,—სთხოვა დაუპატიჟებელ სტუმარსა,—მოვრჩებით საქმესა და ჩვენც დავწვებით.

— ხარაშო,—თავი დაუქნია „აზიატმა“. Хорошо, деда!—დაუმატა.

— ეს რაღაა—„დედა“?—გაუკვირდა მოტრიას.

— დედა...—„აზიატმა“ ბარბარეზე მიუთითა, მერმე საღლაც შორს გაიშვირა თითი და გაიმეორა „დედა“; თან გულზე და თავზე ხელი დასვა.

— მოდი და მიხვდი! ალბად იმათებურად ან დედა, ან ცოლი უნდა იყვეს.

„აზიატმა“ ჯერ პარასკაზე უჩვენა, მერმე ბარბარეზე და ისევ გაიმეორა: „деда“!

— დედა ყოფილა!—შიხვდა ყველა.—დედილო, დედას გეძახის შენა!—ერთხმად წამოიძახეს ქალიშვილებმა.

ბარბარეს თვალზე ცრემლი მოადგა.

— აბა, დაწექი, კმარა, დაიძინე!—ალეგრსიანად უთხრა ბარბარემ თავის ქნევითა.—ბავშვებო, ჭურჭელი მიალაგეთ და თქვენც დაწექით.

ბარბარე და პარასკა ერთად წამოწვენ ტახტზე „აზიატის!“ მოშორებით, მოტრია კი ფეჩზე *) ავიდა.

ღამით „აზიატი“ რამდენჯერმე დიდხანს ახველებდა, ისე მაგრა რომ მისი ხმა თითქოს ცარიელი ქვევრიდან ამოდიოდა, თან დგებოდა და წყალსა სვამდა.

ჯერ არ გათენებულიყო, რომ ბარბარე დილა ადრიან ადგა, ქალიშვილებს ჯერ ეძინათ, „მასაც“ ეძინა მიკოლას ტყავის ქვეშ მოკუნტულსა.

ბარბარე გარეთ გავიდა. ცივი ქარი ქროდა, თან ისე სწვიმდა, რომ ადამიანს ძვალრბილში უჯდებოდა.

როცა ბარბარე გომში ძროხებს თავს დასტრიალებდა, ოთახის კარის გაღება მოესმა. იქით მიხედა და ნახა, რომ „აზიატი“ გარეთ გამოვიდა. თავის დაგლეჯილ ახალუხში იკუნტებოდა. თავშიშველა და შიშველა ფეხზე ქალამნებ მოსხმული იყო.

— ე რა ღარიბი ხალხი ყოფილა?—ფიქრობდა ბარბარე:—ნამდვილ გლახებსა გვანან!.. თავზე ქუდი მაინც ეხუროთ... ციგნებზე ულარიბესი ყოფილან!

„აზიატი“ ცოტა ხანს კართან იდგა, მერმე ალაყაფის კარს მიადგა და შემდეგ ქუჩაში გავიდა,

ბარბარე გომიდან გამოვიდა.

— მოიცა!.. მოიცა!..—შეჰყვირა.—ასე ღამიანად სად მიემგზავრები? დაბრუნდი!

„ის“ მოტრიალდა, თავი ჩაქნია და სთქვა:

— ხარაშო!

— რა სულელი ხარ მაგ „ხარაშოთი!“—გულიანად მიაძახა ბარბარემ.—კუკუც რო ამოგკრან, იმაზეც „ხარაშოს“ იტყვი! სახლში დაბრუნდი, გესმის?

„ის“ გაუნძრევლად იდგა.

— დაბრუნდი მეთქი,—ჯერ ადრეა! სად მიემგზავრები ამისთანა სიცივეში უქუდო და უტყაოდ?.. დაბრუნდი!—ამასთანავე ბარბარემ თითით აჩვენა მოდიო.

„მან“ დაუჯერა, მოტრიალდა და ქალს შეჰყვა სახლში. ოთახში შემოვიდა, ტახტზე ჩამოჯდა და სიცივისაგან მოიკუნტა...

ქალიშვილებმაც გამოიღვიძეს და გარეთ გავიდნენ. პირველი პარასკა დაბრუნდა და პირის ბანა იწყო. ტოლჩიდან წყალს თვითონ ისხავდა.

„აზიატი“ მიუახლოვდა მას, აიღო ხელში ტოლჩა და ხელზე წყლის დასხმა დაუწყო, რომ უფრო ადვილად დაებანა პირი.

როცა პარასკა პირის ბანას მორჩა, მერმე პირსახოცით პირი შეიმშრალა. ეხლა თვითონ აიღო ხელში ტოლჩა და ხელით ანიშ-

*) რუსებს და უკრინელებს ფეჩი ისე აქვთ მოწყობილი, რომ ზედ წოლაც შეიძლება.

ნა, ესლა მე მინდა წყალი დაგისხაო.

— ხარაშო! — ჩაიცინა „მან“ და მიუშვირა თავისი ნიჩაბისავით უშველებელი ხელები.

ბარბარემ სკივრი გააღო და რაღაცის ძებნა დაიწყო. შემოვიდა მოტრია.

— შეუკეთე, მოტრია, ფეჩსა, — მიმართა ბარბარემ. თან ძებნას განაგრძობდა, — სად მიემგზავრებოდა ასე ცოგნისავით უქუდო, არ ვიცი...

ამოიღო ზანდუკიდან მიკოლას ქუდი და წითელი ქამარი, აიღო ტახტიდან მიკოლასივე თბილი დაბაზული ახალუხი, წუხელი რომ თავით ამოუდო, და ყველა ეს „აზიატს“ მიაწოდა.

— ჩაიცვი!. ცივა. გაისეირნებ. ფეხსაცმელები კი არა მაქვს, უკაცრავად ვარ!.. მიუთითა „მან“ ფეხებზე და ხელები გააქნია მის ნიშნად, რომ არა მაქვსო.

„მან“ თავი დაუკრა, რაღაც თავისებურად სთქვა და გულზე ხელი მიიდო მადლობის ნიშნად.

— Харашо, деда,..

— ჰო, კარგი, კმარა ჩაიცვი რაც არის, — მიუგო ბარბარემ და ფეჩს მიუბრუნდა, ქალიშვილები ცნობის მოყვარეობით და იმავე დროს სიმპატიურად, მიუკრძალებლივ, არა როგორც წინად, შეჰყურებდნენ „აზიატსა“.

— დედილო, ხომ ჰხედავ, კისერი ტიტველი აქვს, პერანგი კი დაჰფხრეწია, გამოეხმაურა დედას მოტრია, — შეიძლება რო მივცე ის შალის ყელსაფარი, კისერს მაინც დაიფარავს.

— მიეცი — მოკლედ უპასუხა დედამ. — როცა მოვიცლი მიკოლას პერანგს მოვნახავ და მაშინ მივცემ; დაკერება სჭირია. ახლები მიკოლამ თან წაიღო, ძველები და დაგლეჯილები კი აქ დასტოვა.

მოტრიამ მისცა „აზიატს“ ყელსაფარი და აჩვენა ყელი და გული დაიფარეო. „ის“ მიხვდა და თავის ქნევით ალერსიანად ეუბნებოდა „ხარაშოს“. ჩაიცვა თუ არა, ისევ მოინდომა წასვლა, მაგრამ ბარბარემ გააჩერა და აჩვენა, პატარა დანაყრდიო.

— ხომ ჰხედავთ, ბავშვებო, რა ზრდილობიანია; მართალია, შიშველ-ტიტველია, მაგრამ თვალში არ შემოგვცქერის, არ თხოულობს, როგორც ზოგიერთმა იცის. სინდისიერი კაცი ყოფილა და არა სხვასავით ცულლუტი და არამზადა.

სახელდახელოდ ისაუზმეს თუ არა, — „აზიატმა“ ბავშვივით ისევ ცოტა ჭამა, — “ის“ ქუჩაში გავიდა, სადაც გამოსულიყვნენ მისავით აძონძილი მისი თანამემამულენი, რომელნიც დაბინავებული იყვნენ სხვა ოჯახებში.»

მთელ დღეს არ სჩანდა მათი „სტუმარი.“ ახალი ჯარისკაცები სოფლის კანცელარიაში მ ვიდნენ. იქ მათ რაღაცას უკითხავდნენ, რაღასაც არიგებდნენ. მერე ასადილეს სალდათების სამხარეულოში, რომელიც დანელიას სამჭედლოსთან იყო მოთავსებული, და მხოლოდ საღამოს ხანს დაბრუნდა სახლში ბარბარეს „სტუმარი.“

ბარბარე შინ არ იყო, — დაბაში იყო საქმეზე წასული; შინ რო დაბრუნდა, სახლში ნახა „აზიატი“ და ორივე ქალიშვილი.

— დედილო, — მხიარულად მიეგება პარასკა: — იცი, ცოტა რამ გავიგეთ; გვიამბო, რომ დედა დავტოვე სახლშიო. თურმე სამი უმცროსი ძმა ჰყოლია და ერთი პატარა, სულ პატარა და. იცი თვითონ ამას რა ჰქვიან სახელად? შია!

— შიო, — გაუსწორა „აზიატმა“,

— როგორ გამოელაპარაკეთ, — გაუკვირდა ბარბარეს.

— აი ესე, მუნჯურად.

შიოც გამხიარულდა. რასაც იტყოდა თავისებურად, ზოგჯერ თვითონაც იცინოდა; თან გამოაჩენდა ხოლმე შავ ულვაშის ქვეშ თეთრ, თოვლივით თეთრ კბილებსა. ქალიშვილებსაც უხაროდათ.

იმ საღამოს „აზიატმა“ მათთან ერთად ივახშმა, როგორც შინაურმა. შიომ რამდენჯერმე მიმართა ბარბარეს:

— ხარაშო, დედა!

ქალიშვილებსაც ეტყოდა ხშირად;

— ხარაშო მოტრა, ხარაშო, პარასკ!

მან უკვე მათი სახელები დაისწავლა, მაგრამ რაღაცა უცნაურად გამოსთქვამდა

მირ. ხარხელი

(დასასრული იქნება)

საგურთალოს თეატრის ახალი დარბაზი, (მ. დებანიძისა) აგურთხეს კვირას, ქრისტეშობისთვის 4 შუადღით, ხოლო საღამოთი ადგილობრივ სტენის მოყვარეთა მიერ ჩვენი მხცოვანი მსახიობის კოტე ეიფეანის მონაწილეობით და ვინარმანიძის რეჟისორობით წარმოდგენილი იქმნა ფ. ერისთავის „სამშობლო“ წარმოდგენის დაწყებამდე ოთხს ეიმედაშვილმა (ყურ. „თეატრი და ცხოვრების“ მხრით) დამსწრე საზოგადოებას განუმარტა საერთოდ სასტენო ხელოვნების და კერძოდ სახალხო თეატრის მნიშვნელობა, აუხსნა თუ რა კრძალულებით უნდა ეპყრობოდენ ხელოვნების ტაძარს და მიუღოცა ამ ახალი სტენის დაფუძნება. წარმოდგენაში ადგილობრივ სტენის მოყვარეთა კარდა მონაწილეობდენ: კ. ეიფეანი (სვიმონ დიონიძე), ანკარა (ქეთევანი), ვინარმანიძე (დევან ხამშიაშვილი) რომ. სალაყაია (შაჭი) და სხ წარმოდგენას წერილი ნაკლი ჭქონდა, მ კრამ საერთოდ წარმოდგენამ კარგად ჩაიარა და დიდი შთაბეჭდილებაც დასტოვა. კამეობის წევრნი (მ. დებანიძე თავმჯდ ა. კუხიანიძე—მდივ., ი. ბალინაშვილი—ხაზინად., შ. ჩიტოშვილი, ხ ბერიაშვილი, მ. ქორქაძე, მ. ოკანოვი) და სტენის მოყვარენი დიდის სიყვარულით ეკიდებიან საქმეს: თითონვე არიან ეოველგვარი საქმის მოშეკობნი, დეკორაციის მხატვარნი (ვ ხეთაგაშვილი), დეკორატორნი (ი. ქორეაშვილი. ა. კუხიანიძე), მოკარნახე (მ. მალრაძე) და სხვ. თეატრი იტევს 280 სულამდე. განზრახვა აქვთ გაფერეტ მოაგვან. თეატრში, შეძლებით, მეტი წესიერება იყოს. თუმცა თეატრი კეტილი იყო, ბევრი კარგად დარჩა. წარმოდგენა კათავდა 12 ნახ. ს. შემდეგ გაიმართა საამსანაგო ნადიმი, რომელზედაც ბევრი საგულისხმო სიტყვა ითქვა — საზოგადოების ვალია ამ სტენის მოყვარეთა საქმიანობას ხელი შეუწყოს.

კენტი.

ტრ. რამიშვილის ახალი პიესა „ჭკვა მხიარული“ მარადა-და მხიარული კამოდგა: თითქმის მთელი წარმოდგენის დრო (ბარე საათი გაგრძელდა) დარბაზში სარსარი იყო. პიესას რა ჩაშოშორდეს გაჭიანურებული ადგილები, ზოგიერთი და იგივობა და ამ ამბის მოთხრობამ, რაიცა მაყურებელთა წინაშე ხდება, ვოდევილი ერთ საუკეთესო ნაწარმოებად ჩაითვლება. საუცხოო ხატება შექმნა ს. რომანიშვილმა (ჭკუა მხიარული); შესრულების მხრით ტოტა ამდაშებდნენ; უფრო ბუნებრივად რომ შესრულდონ — პიესა მოიგებს. სასურველია მისი კამოდგება

ნ. ბარათაშვილის სალიტერატურო დილა

თბილისის 1 ვაჟთა გიმნაზიაში არსებულმა ქართველ მოწაფეთა წრემ გამართა ქრისტეშობისთვის 4. დილა შესდგებოდა 2 განყოფ. წაიკითხეს მგოსნის ბიოგრაფია, რეფერატი, რომელშიაც შეეხნენ მისს პოეზიას, ლექსები და სხვათა შორის, შეასრულეს რამდენიმე ეროვნული სიმღერა. აღსანიშნავია გ. მაღალაშვილის მიერ. შესრულებული „შენ გეტრფი მარად“ და „მხოლოდ შენ ერთს.“ საერთოდ დილამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა საზოგადოებაზე. დაესწრნენ გ რეშე ჰორნიც ამნაირი დილების მართვა მოწაფეთა შორის ფრიად სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც ჩვენი მოზარდი თაობა გაეცნობა ჩვენს წარსულს და ასცდება გადაგვარების სახიფათო გზას. კ. ძ—ე.

სახალხო სახლში (ახალხო სახლ. არს. წრემ კვირას ქრისტეშობისთვის 4 კ. შათირიშვილის ‘ეფისოროობით წარმოადგინა ოსტროვსკის 5 მოქ. დრამა „შემოსავლიანი ადგილი.“ წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა, მაგრამ მაინც რაღაცა უფერულობა ეტყობოდა, კარგები იყვნენ: ნ. გოცირიძე (აკიმ აკიმიჩ), ვ. ნინიძე (ვიშნევსკი) ს. რომანიშვილი (ბელოგუბოვი), ს. პეპანოვი (ვასილ ნიკოლოვი). არა უჭირდა რა: ა. მატარაძისას (ანნა პავლოვნა), ენ. იანკოშვილის (პოლინა). დანარჩენებიც ხელს უწყობდნენ პიესის მსვლელობას. სახოგადოება ბლომად დაესწრო. მაგრამ ჩვეულებრივი უწეს-რიგობა მაინც სუფევდა დარბაზში, როგორც მაგალითად უდროვოდ ბავშის ჩხავილი და ყივილ-ხივილი ჭანდარიდან. როგორცა სჩანს, ამ მოვლენას ჩვენში ბოლო არ ეღება სირცხვილი ჩვენთვის!“

ძია.

წვრილი ამგები

ქართულ დრამატიულ საზოგადოების წლიური კრება გაიმართა ქრისტეშობისთვის 6 სამეურნეო ბანკის დარბაზში დიდი ხალხის თანადასწრებით, თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა გ. დ. ეურული, მდივნად სვ. ქვარიანი თავმჯდომარემ კრების დასაწყისში დაახ სიათა განსვენებული ეკ. ვ. სარაჯიშვილისა და მისი მეუღლის დავითის ამაგი ქართული მრეწველობისა და განსაკუთრებით თეატრის წინაშე და კრებას,

სთხოვა—ეკატერინეს ხსოვნისათვის ფეხზე ადგომით პატივი ეცათ. ფეხზე ადგომითვე პატივი სცეს პოლონელთა მწერლის პ. სენკევიჩის ხსოვნას. შემდეგ წაკითხულ იქმნა სარევიზიო კომისიის მოხსენება. კამათი გამოიწვია არ. ავალიშვილის მიერ გაფლანგულმა 2337 მ. 11 კ., რომლის ნაწილი 1300 მ. გამგეობას თავის მხრით შეუვსია, ხოლო დანარჩენის 1037 მ. 11 კ. შესახებ გამგეობამ ბ. შ ლვა მ სხიშვ ლის პირ თ განაცხადა—ამასაც ჩვენ გადვიხდითო. კრებამ დაადგინა: გამგეობას უკანვე დაებრუნოს არ. ავალიშვილის მიერ გაფლანგულ ფულში შემოტანილი 2300 მ,, და მეორე ნაწილიც არ მიიღოს. გამგეობამ ამ პატივიცემისთვის კრებას მადლობა გადაუხადა და უკვე გადახდილი საზოგადოებასვე დაუტოვა. მოხსენება წაიკითხა გამგეობის წევრმა მდივანმა ი. გედევანიშვილმა გამგეობის განვლილ საქმიანობის და მომავალ მოქმედების შესახებ. მოხსენების შესახებ კამათი არ გათ ეებულა. დიდი კამათი გამოიწვია თეატრის აღდგენის საკითხმა. კრებამ დაადგინა: ერთი თვის განმავლობაში მოწვეულ იქმნეს თეატრის ამგები კომიტეტი და ეთხოვოს ფულის შეგროვების საქმე გააცხოველოს. რადგან ყველა აღძრული კითხვის განხილვა ვერ მოასწრეს, კრების გაგრძელება შემდეგისთვის გადასდეს.

ახალი პიესა მიხ. ბოჭორიშვილისა „ვნების ბრჭყალებში" ავტორმა ხელმეორედ დაიმუშ ვა. პიესის ბეჭდავს მომავალი წლიდან დავიწყებთ.

ქართ. დრამ. დასის მიერ ხვალ, ორშაბათს, ქრისტეშობისთვის 12 სახალხო სასლში წარმოდგენილ იქნება „ურიის სისხლი."

ნ. ბარათაშვილის ხსოვნის აღსანიშნავად ქალაქის გამგეობამ, ხმოსან შ. მესხიშვილის განცხადების თანახმად დაადგინა: საგიმნაზიო ქუჩას, ერთ სკოლასა და სამკითხველოს ეწოდოს ნ. ბარათაშვილის სახელი.

სომეხთა მოაზრე-მწერალი ს. თარაიანი გასულ კვირას დაკრძალეს ხოჯივანქის გალავანში. დაესწრენ სომეხთა სხვადასხვა დაწესებულებათა და პარტიის წარმომდგენელნი, მიმართულების განურჩევლად, აგრეთვე დიდძალ ხალხი. ვ ნქისტაძართ ნ სიტყვები წ მოსთქვეს 1) სომეხ-პროტესტანტთა წინამძღვარმა, 2) იოსებ იმედაშვილმა („თეატრი და ცხოვრ ის" მხრი), 3) მსახიობმა არუთინიანმა და 4) ილ. ნაკაშიძემ. ს მარესთან—„გრაფარ ის" რედაქტორმა, ყარადერვიშმა და სხვებმა,

ჟურ. „თეატრი და ცხოვრება„ სიღნაღის სამკითხველოს ოთხი თვით გაუწერა მიხ. ჩოდრიშვილმა ლადო ჩოდრიშვილის სახსოვრად.

სახალხო თეატრის მოკარნახემ მიხეილ. თუშმელიშვილმა, რომელიც 23 წელია რაც სახალხო წარმოდგენების მმართველ წრეში მუშაობს, მოკარნახობას თავი დაანება. მეტად საწყენია, რომ ასეთი უჩინარი, მაგრამ დიდათ სასარგებლო მუშაკის ნაღვაწი არაფრით აღნიშნეს. მ. თუშმელიშვილს სახალხო თეატრის აღორძინებაში დიდი ამაგი მიუძღვის, და პირველ ათ წელიწადს სრულიად უშრომის ფასოდ ემსახურებოდა. ჩამოშორდა აგრეთვე ანკარა და ა. მეტრეველი, რომელნიც თვალსაჩინო ძალებად ითვლებოდენ.

საზაფხულოს თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება „რაც გინახავს—ვეღარ ნახავ!" წარმოდგენის დაწყებამდე წარმოითქმის მცირე სიტყვა ა. ცაგარლის და მისი შემოქმედების შესახებ.

ეკ. იმ. ხარაჯიშვილის ხსოვნის პატივსაცემლად ქართ. დრამ. საზ-ის გამგეობას განუზრახავს ყოველ წლივ თითო სალამო გამართოს ხოლმე და შემოსავალი ქართველ მსახიობთა დამხმარე ფონდს მიუმ ტოს„

ოპერა „სევილიელი დალაქი" ნ. გ. ქართველიშვილის ლოტბარობით, ქართულად, რუ ულ. და იტალიანურად, წარმოდგენილ იქნება „ახალ კლუბში" ს მშობლო, ქრისტეშ. 13. მთავარ როლებს შეასრულებენ: ფიგაროს-ბროჯი, როზინას-კალანდაძე აგასოვისა, ბაზილიოს-აგასოვი.

პოლონელთა სახლში მოკლე ხანში წარმოდგენილი იქნება „პატარა კახი".

ხართუბის კლუბი" ქართ. დრამ. დასმა ქრისტეშ 7 წარმოადგინა „დღენი ჩვენი ცხოვრებისა"

განცხადებანი

სახალხო სახლი ორშაბათს ქრისტიბ. 12 1916

ქართ. დრამ. საზ-ის დასის მიერ.
წარმოდგენილი იქნება სახელგანთქმული პიესა ან. ბერნშტეინისა

„ურიის სისხლი"

მონაწილეობენ: ქ-ნი ნ დ ავ თაშვილი; ბ-ნნი: ი. ზარდალიშვილი, გ. იმხნელი, ნ. გვარაძე, გ. ფრონის-პირელი, ი. მინდიაშვილი, ვ. ბარველი, ნ. ციციშვილი, ნ. ჩაგუნავა, ი. თარალაშვილი.

დასაწყ. სად. 8 ს. ფასი: 1-70 კ 20 კ.-დე.
რეჟისორი *** ადმინისტრ დრამ. საზ-ისა.

20 ქრისტიშობისთვეს თბილისში გამოვა სამხატვრო-სალიტ კრებული. **„საფირონი"** კრებულში მონაწილეობას იღებენ ცნობილი მწერალ-კრიტიკოსები. რედაქტორი **გ. ლეონიძე** გამომც. კანტ. **„განათლება"**

კონ ერვატორიის პროგრ. ვამზადებ **სკრიპკაზე** **ილიო ქურხული** მა-სა
მართი წერ ლით: Орхевскiй пер. д. 75

V წ. მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის V წ.

სათეატრო-სალიტერატურო, სამხატვრო კვირეული ჟურნალი

თეატრი და ცხოვრება

(წელიწადი მეხუთე)

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ ორ პრემიას

აკაკის „ნაკვესები და ბრძნული სიტყვები“ ავტორის სურათებით ფაქსიმილე და ბიოგრაფიით.

ვ. ლომთათიძის „რჩეული აზრები“ ავტორის სურათით, ფაქსიმილეთი და ბიოგრაფიით.

გამოვა სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით

ჟურნალი პარტიათა გარეშეა, პროგრესიული მიმართულებისა

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი დამსახურებული და ახალგაზდა ნიჭიერი მწერლები: მგოსნები, კრიტიკოსები, მუსიკოსები, მხატვრები

ჟურნალის ფასი ორივე პრემიით წელიწადში ღირს **8** მან. ნახევარის წლით **4** მან. **50** კაპ. თითო ნომერი ყველგან 15 კაპ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილად შეიძლება: ხელის მოწერის დროს 3 მ., 1-მაისამდე—3 მ. 1-ელ ენკენისთვემდე 2

ხელის მოწერა მიიღება: ტფილისში, „სორაპნის“ **სტამბის კანტორაში** (მადათოვის კუნძული, № 1, გორონცოვის მეორე ხიდის ყურში). ქალაქ გარეთ ხელის-მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის მისამართით: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба“ Іосифу Имедашвили. რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

ხალხო სახლში

კვირას, 11 დეკემბერს

ვეფხო-ფშაველა **გამართავს** ფრიად საყურადღებო სამხატვრო-სალიტერატურო—სამუსიკო **დილას** ოთხის განყოფილებით: **1 ლექცია** „ვაჟა-ფშაველა და ყაზბეგი“ წაიკითხავს დ. კასრაძე **2 „სიმართლე“** ერთ მოქმ. ვოდევ., წარმოდგენილ იქნება სახალ. სახლ. არს. სახ. წარმ. მმართველ წრის მიერ. **3 ლექსებს** წაიკითხავენ ახალგაზრდა ცნობილი მგოსნები **4 სამუსიკო განყოფილება** (მონაწილეობენ გამოჩენილი მომღერალ-დამკვრელნი) დაწვრილებით იხილეთ პროგრამებში. დასაწყ. 12 ს.

გამგე **გოგლი ლეონიძე.**

ახალი კლუბი

1 კვირის პროგრ. ქრისტე. 11-18

კვირა — რუსული წარმოდგენა. ბილეთ 50-30 კ.

ორშაბათი — ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-50 კ.

სამშაბათი — ქართ. ოპერა „სვიმ. დალაქი“

ოთხშაბ. — სინემატოგრაფი. სიმფ. ორკ.

ხუთშაბ. — ქართ. წარმ. ბილეთები 50-30 კაპ.

პარასკ. — ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-30 კ-დე.

შაბ. — რიადნოვის საღამო

კვირა — რუსულ წარმო. ბილეთ. 5-30 კ.

დასაწყისი: კონცერტებისა საღამ. 9 საათ.. წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. 8½ საათზე. ფასი მანდილოსნ. 50 კ, მამაკაც. 1 მ.

ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტზე, № 163)

ერთი კვირის პროგრამა ქრისტეშ 11—18.

ორშაბათი—სინემატოგ. სიმფ. ორკ.

სამშაბათი —სინემატოგრაფი: სიმფ. ორკეს.

ოთხშაბათი —ქართული წარმ სიმ. ორკესტ.

ხუთშაბათი —სინემატოგ. სიმფ. ორკესტრი.

პარასკევი—სიმფონიანი ორკ. წარმოდგენა

შაბათი—სიმფონიანი ორკესტრი.

კვირა —სიმფონიანი ორკესტრის კონცერტი.

რედ-გამ. **ანნა იმედაშვილისა** Дозволено Военной Цензурой **სტამბა „სორაპანი“**